



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 5 21 0000021842



22/01/2021

**ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 15 ივნისს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №15-08/06-70 (ცენტრში რეგისტრაციის №466320) სააკრედიტაციო განაცხადი „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისს №547171 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მამიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 24 აგვისტოს №722792 ბრძანებით (ბრძანების ცვლილება №1038313) შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 27-28 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2020 წლის 10 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 25 დეკემბერს - სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, აკრედიტაციის I

სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; აკრედიტაციის II სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 12 ხმით ერთი წინააღმდეგ,

გადაწყვეტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "მექანიკის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21058 სხდომის ოქმის №-02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი:
 - 4.1. სასწავლო კურსი - საჭიროა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი „მანქანათა ნაწილები“, სრულყოფილად გაიწეროს კურსის მიზანი, შეივსოს ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით, სილაბუსის სალექციო თემატიკები და საათების განაწილება მოვიდეს შესაბამისობაში ასათვისებელი მასალის მოცულობის შესაბამისად (მაგ. „შესავალის“ შესწავლას დათმობილი აქვს 1 საათი, ასევე, „დაწებებით შეერთებას“ (რომელიც საერთოდ არ უნდა იყოს განხილული ამ სასწავლო კურსში) და ისეთ რთულ საკითხებს, როგორიცაა მე-11 ლექცია „ცილინდრული, კონუსური და ჭიახრახნული გადაცემები“, დათმობილი აქვს თითო საათი, რომლის ფარგლებში მითითებული საკითხების ათვისება არ არის შესაძლებელი;
 - 4.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - საჭიროა პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი იყო პრაქტიკის/სტაჟირების ფარგლებში მიღებული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა;
 - 4.3. ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული რუსულენოვანი წყაროები გადავიდეს დამხმარე ლიტერატურისთვის განკუთვნილ ველში.
5. რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:
 - 5.1. პროგრამის მიზნები - პროგრამის მიზნის ნაწილი „ავტომობილების და შიგაწვის ძრავების“ ცოდნის შესახებ სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და წარმოადგენს „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ (დეტალური სფეროს 0716) სწავლის სფეროს და საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის მიზნიდან;
 - 5.2. პროგრამის სწავლის შედეგები - პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილი, რომელიც არის, ავტომობილებისა და შიგაწვის ძრავების შესახებ, სცდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის 0715 დეტალური სფეროს მიხედვით სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს და მიეკუთვნება „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ დეტალური სფეროს (0716), ამიტომ, ისინი საჭიროა ამოღებული იქნას პროგრამის სწავლის შედეგებიდან;

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

0.00455 73.90

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია
2	ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება N. 273
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 - მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240, თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25 დეკემბერი 2020 წელი